

შპს „მაგთიკომის“

საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების შეთავაზების წინადადება
(მოწვევის ოფერტა)

პრეამბულა

წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში – **ოფერტა**), რომელიც შემუშავებულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში – **კომისია**) გადაწყვეტილებით შპს „მაგთიკომისთვის“ (შემდგომში – **მაგთიკომი**) დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, არეგულირებს **მაგთიკომის** საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურების პირობებს.

1. მუხლი. ოფერტის საგანი

- 1.1. წინამდებარე **ოფერტით** განისაზღვრება **მაგთიკომის** საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურების პირობები ყველა მსურველი ავტორიზებული პირისათვის, რომელიც წერილობით გამოხატავს ნებას მიიღოს **მაგთიკომისაგან** საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურება და გააფორმებს ხელშეკრულებას მომსახურების მიღების თაობაზე (შემდგომში – **კონტრაქტი**).
- 1.2. **კომისიის** გადაწყვეტილებით, **მაგთიკომს** საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების ვალდებულება დაკისრებული აქვს ქ. თბილისის კონკრეტულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (შემდგომში – **მომსახურების ზონა**), რომელიც მოცემულია **ოფერტის** დანართში (დანართი N1). წინამდებარე **ოფერტა** ვრცელდება მხოლოდ დანართ N1-ში მითითებულ **მომსახურების ზონაში** არსებულ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვებაზე.
- 1.3. საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვება გულისხმობს 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ **მომსახურების ზონაში** არსებულ საკანალიზაციო არხში კაბელის გატარების უფლების მინიჭებას, რომელიც აკავშირებს 2 წერტილს.

2. ხელშეკრულების გაფორმების პირობები

- 2.1. წინამდებარე **ოფერტით** გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება ხორციელდება **მაგთიკომთან** გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების გაფორმების მიზნით **კონტრაქტმა** წერილობით უნდა მიმართოს **მაგთიკომს** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას N7. წერილობით მიმართვაში (შემდგომში – **განაცხადი**) **კონტრაქტმა** ნათლად უნდა გამოხატოს ნება, თუ რომელ **მომსახურების ზონაში** და რა მოცულობის მომსახურების მიღება სურს და ასევე ნათლად გამოხატოს, რომ იგი გაცნობილია წინამდებარე **ოფერტას** და აცხადებს უპირობო აქცეპტს **ოფერტის** ყველა პირობის მიმართ.
- 2.2. **განაცხადში** წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია:
 - 2.2.1. საფირმო სახელწოდება;
 - 2.2.2. იურიდიული და ფაქტიური მისამართები;
 - 2.2.3. ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის და ფაქსის ნომრები;
 - 2.2.4. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, მისამართი და საკონტაქტო ნომერი;
 - 2.2.5. საქმიანობის სახეები, რაზეც **კომისიაში** გავლილი აქვს ავტორიზაცია;
 - 2.2.6. რომელ **მომსახურების ზონაში** სურს მომსახურების მიღება;
 - 2.2.7. კაბელის გატარების მისამართები (A და B წერტილები);
 - 2.2.8. საკონტაქტო პირების სახელი, გვარი და ტელეფონის ნომრები.
- 2.3. **განაცხადს** თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - 2.3.1. ავტორიზაციის მოწმობის ასლი;

- 2.3.2 განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- 2.3.3 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;
- 2.3.4 მითითებას ვის მიერ უნდა განხორციელდეს **სამუშაოები**, კერძოდ ითხოვს თუ არა **სამუშაოები** განახორციელოს **მაგთიკომს**. იმ შემთხვევაში, თუ **სამუშაოების** ჩატარებას უზრუნველყოფს **კონტრაქტის**, იმ პირის დასახელებას (საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით), რომელიც უშუალოდ ჩაატარებს **სამუშაოებს**.
- 2.4 იმ შემთხვევაში, თუ **კონტრაქტის** მხარეს არსებობს შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულება (ამ **ოფერტით** გათვალისწინებული მომსახურების თუ სხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე) **მაგთიკომის** წინაშე, იგი ვალდებულია დაფაროს არსებული დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში **განაცხადი** არ ჩაითვლება მიღებულად და შესაბამისად **მაგთიკომის** მხრიდან არ წარმოშობს არანაირ ვალდებულებას გააფორმოს მასთან ხელშეკრულება და მიაწოდოს წინამდებარე **ოფერტით** გათვალისწინებული მომსახურება.
- 2.5 იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი **განაცხადი** არ აკმაყოფილებს 2.2, 2.3 და 2.4 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, **კონტრაქტის** 5 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება ამის შესახებ და ამ შემთხვევაში 2.6-2.10 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის ათვლა არ დაიწყება. ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ **განაცხადის** სრულყოფილად წარმოდგენის შემდგომ.
- 2.6 იმ შემთხვევაში, თუ **განაცხადი** შედგენილია 2.2, 2.3 და 2.4 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, მაგრამ მოთხოვნილ მისამართებზე დაშვებადაკავშირებულია ტექნიკურ სირთულესთან ან/და საჭიროებს დამატებით შესწავლას/მოკვლევას, **მაგთიკომი** 5 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის **განაცხადში** მითითებულ მისამართებზე დაშვების შესაძლებლობას და აცნობებს **კონტრაქტის**. იმ შემთხვევაში, თუ **კონტრაქტის** მიერ მოთხოვნილ მისამართებზე დაშვება ტექნიკურად შეუძლებელია, **მაგთიკომი** აცნობებს ამის თაობაზე **კონტრაქტის**. ასეთ შემთხვევაში, წყდება მხარეთა შორის **ოფერტით** გათვალისწინებული ყველა სახის სამართლებრივი ურთიერთობა და მხარეები თავისუფლდებიან **ოფერტით** გათვალისწინებული ვალდებულებისაგან. თუ შეუძლებელია მომსახურების მიწოდება **განაცხადში** წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მიიჩნევა რომ **განაცხადი** არ აკმაყოფილებს წინამდებარე **ოფერტის** პირობებს და 2.6-2.10 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის ათვლა არ დაიწყება.
- 2.7 2.2, 2.3 და 2.4 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით წარდგენილი **განაცხადისა** და დოკუმენტაციის ჩაბარებიდან, (ა) მოთხოვნილ **მომსახურების ზონაში** თავისუფალი რესურსის არსებობის და (ბ) 2.3.4 პუნქტით გათვალისწინებული, **კონტრაქტის** მიერ წარმოდგენილი კაბელის გატარების A და B წერტილებზე შესაძლებლობის შემთხვევაში, **მაგთიკომი** 5 სამუშაო დღის განმავლობაში გაუგზავნის **კონტრაქტის** ხელშეკრულების პროექტს, **კონტრაქტის** მიერ **განაცხადში** მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.
- 2.8 **კონტრაქტის** ვალდებულია, ხელშეკრულების პროექტის მიღებიდან 2 დღის ვადაში, ელექტრონული სახით, გაუგზავნოს **მაგთიკომს** შესაძლო შენიშვნები ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით და მიაწოდოს **მაგთიკომს** ინფორმაცია იმ პირების შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), რომელიც ჩართული იქნებიან კაბელის განთავსების/დემონტაჟის/სარეაბილიტაციო/აღდგენითი სამუშაოების (შემდგომში - **სამუშაოები**) ჩატარებაში.
- 2.9 **მაგთიკომი** და **კონტრაქტის** შემდგომი 5 დღის განმავლობაში ათანხმებენ ხელშეკრულების პროექტს ხოლო შემდგომი 3 დღის განმავლობაში **მაგთიკომი** უგზავნის ხელშეკრულების ხელმოწერილ ეგზემპლარებს **კონტრაქტის**. **კონტრაქტის** ვალდებულია 3 დღის ვადაში ხელშეკრულების მისი მხრიდან ხელმოწერილი ეგზემპლარი გადასცეს **მაგთიკომს**, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ **ოფერტაზე** აქცეპტი არ განხორციელებულა და **მაგთიკომსა** და **კონტრაქტის** შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს.
- 2.10 მხარეები ვალდებულნი არიან ზედმიწევნით დაიცვან 2.9 პუნქტით გათვალისწინებული ვადები და **განაცხადის** წარმოდგენიდან 20(ოცი) დღის განმავლობაში გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად მხარეები ათანხმებენ კაბელის გატარების პროექტის დეტალებს (კაბელის სიგრძეს, ტიპს, დიამეტრს, მარშრუტს, წერტილებს, **სამუშაოების** ჩატარების სახეს, ხანგრძლივობას და **სამუშაოების** ჩატარებაზე უფლებამოსილ პირთა ვინაობას, ტესტირების განხორციელების ვადებს, სხვა მნიშვნელოვან ტექნიკურ ინფორმაციას).
- 2.11 **მაგთიკომი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **კონტრაქტის**, რომელიც **მაგთიკომთან** მანამდე არსებული, ამ **ოფერტით** გათვალისწინებული თუ სხვა სახის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე არ ან არაჯეროვნად ასრულებდა **მაგთიკომის** წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

გულისხმობს გამოუხმობად **საბანკო გარანტიას** ან **ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხას**. საბანკო გარანტიად მოიაზრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ბანკის მიერ წარმოდგენილი ფულადი წერილობითი გარანტია, რომლის ძალითაც, გარანტიის მიმცემი თვითონ კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ფულადი თანხა ბენეფიციარს (*მაგთიკომს*), ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში. **საბანკო გარანტია** ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს. **საბანკო გარანტიის** მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 1 წელი და იგი მოწონებულ უნდა იქნას *მაგთიკომის* მხრიდან. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა გულისხმობს, *კონტრაქტის* მიერ *მაგთიკომის* ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას, რომელიც მოიაზრება მომსახურების მიწოდების საფუძველზე წარმოშობილი *კონტრაქტის* ვალდებულებების შესრულების გარანტიად და იმ შემთხვევაში, თუ *კონტრაქტი* არ დაფარავს ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებას, *მაგთიკომს* ეძლევა უფლება *კონტრაქტის* მხრიდან ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე დაიკმაყოფილოს მოთხოვნა **ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხიდან**. **ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა** ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს. **ხელშეკრულების შესრულების გარანტია** უნდა იყოს *კონტრაქტის* მიერ *მაგთიკომისათვის* ხელშეკრულების თანახმად ერთი თვის გადასახდელი თანხის ოდენობა.

2.12 *მაგთიკომი* ასევე იტოვებს უფლებას, მოსთხოვოს ამ **ოფერტის** საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების მხარეს 2.4 პუნქტით გათვალისწინებული **ხელშეკრულების შესრულების გარანტიის** წარმოდგენა, თუ *კონტრაქტი* ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დაარღვევს ანგარიშსწორების ვალდებულებას და ეს უკანასკნელი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს მოთხოვნილი გარანტია.

3. მუხლი. საკანალიზაციო არხებთან დაშვების პირობების შეთანხმება

- 3.1 პროექტის დეტალები: კაბელის სიგრძე, ტიპი, დიამეტრი, მარშრუტი, წერტილები და სხვა პირობები აისახება ხელშეკრულების დანართში. დანართზე ხელმოწერის შემდგომ მხარეები ათანხმებენ: (ა) **სამუშაოების** ჩატარების დაწყების ზუსტ თარიღს (მარკირებული კაბელის განთავსების თაობაზე) და (ბ) **სამუშაოების** ჩატარების ხანგრძლივობას. მხოლოდ ამ პირობების შეთანხმების და **ოფერტით** გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, *კონტრაქტის* მიერ **ხელშეკრულების შესრულების გარანტიის** წარმოდგენის შემდგომ *მაგთიკომი* აძლევს წერილობით ნებართვას *კონტრაქტს* **სამუშაოების** დაწყების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ **სამუშაოები** ტარდება *კონტრაქტის* მიერ, იგი უფლებამოსილია მხოლოდ წერილობითი ნებართვის მიღების შემდგომ დაიწყოს **სამუშაოების** ჩატარება. ამ შემთხვევაში, *კონტრაქტი* ვალდებულია საკუთარი მასალით, ხარჯებით და რისკით ჩაატაროს ნებისმიერი სახის **სამუშაოები** (მონტაჟი/შეკეთება/დემონტაჟი), *მაგთიკომის* უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით.
- 3.2 იმ შემთხვევაში, თუ **სამუშაოები** ტარდება *კონტრაქტის* მიერ, *კონტრაქტი* ვალდებულია **სამუშაოები** შეასრულოს ნებართვაში მითითებული ვადაში და სხვა პირობების ზედმიწევნით დაცვით.
- 3.3 ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველ ჯერზე, დაშვება ხორციელდება მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირობების ზედმიწევნით დაცვით. *კონტრაქტი* ვალდებულია დაიცვას ყველა ტექნიკური, სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების თუ სხვა სახის ნორმები და წესები.
- 3.4 *კონტრაქტი* ვალდებულია გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება და წინდახედულობა იმ პირთა შერჩევისას, რომელთაც ექნებათ უფლება განახორციელონ **სამუშაოები** და **სამუშაოების** ჩატარება დაავალოს მხოლოდ იმ პირ(ებ)ს, რომელსაც აქვს ამ დარგში **სამუშაოების** განხორციელების შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. *კონტრაქტი* ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს *მაგთიკომთან* პირ(ებ)ი, რომელიც *კონტრაქტის* დავალებით შეასრულებენ **სამუშაოებს**.
- 3.5 მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, თუ კაბელის გატარების **სამუშაოებს** ჩაატარებს *მაგთიკომი*, *კონტრაქტი* გადაუხადის *მაგთიკომს* შესრულებული **სამუშაოების** ღირებულებას.
- 3.6 მას შემდეგ, როც განხორციელებულ იქნება კაბელის განთავსებისთვის საჭირო ყველა ტექნიკური სამუშაო მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

4. მუხლი. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედების ვადა, შეწყვეტის პირობები

- 4.1 **ოფერტის** მე-2 მუხლში აღწერილი პროცედურების დაცვის გათვალისწინებით, ხელშეკრულება ძალაში შედის (ა) ხელშეკრულებაზე ორივე მხარის ხელმოწერის, (ბ) ხელშეკრულების დანართზე

ორივე მხარის ხელმოწერის, (გ) **ხელშეკრულების შესრულების გარანტიის** წარმოდგენის (ოფერტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, **მაგთიკომის** მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში) და (დ) 3.6 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

- 4.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა გულისხმობს მომსახურების დაწყებას და ამ დღიდან **კონტრაქტს** დაერიცხება მომსახურების საფასური.
- 4.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი განახლების პირობები განისაზღვრება უშუალოდ ხელშეკრულებით.
- 4.4 ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს:
 - 4.4.1 მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით;
 - 4.4.2 ხელშეკრულების ძალადაკარგულად ან ბათილად ცნობის შემთხვევაში;
 - 4.4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში;
 - 4.4.4 **მაგთიკომისათვის** დაკირებული სპეციფიკური ვალდებულების შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში;
 - 4.4.5 **ოფერტით**, ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 4.5 ხელშეკრულების შეწყვეტა გულისხმობს მომსახურების შეწყვეტას, რა დროსაც **მაგთიკომი** უფლებამოსილია ყოველგვარი დამატებითი გაფთხილების გარეშე განაკავშიროს საკანალიზაციო არხში არსებული **კონტრაქტის** კუთვნილი კაბელები.
- 4.6 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, **მაგთიკომი** უგზავნის **კონტრაქტს** ნებართვას დემონტაჟის ჩატარების თაობაზე და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დემონტაჟის დასრულებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟი არ განხორციელდება ნებართვაში მითითებულ ვადაში, **კონტრაქტი** ვალდებული იქნება ჯარიმის სახით გადაუხადოს **მაგთიკომს** თანხა, რომელიც მას დაერიცხებოდა მომსახურების მიღებისათვის, დემონტაჟის ნებართვის გაცემიდან დემონტაჟის დასრულებამდე, გადაანგარიშებული დღეების რაოდენობაზე.
- 4.7 თუ **კონტრაქტი** ნებართვაში მითითებულ დემონტაჟისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური ვადიდან 10 დღის განმავლობაში არ მოახდენს დემონტაჟს, **მაგთიკომი** უფლებამოსილია თავად განახორციელოს დემონტაჟი და ამ შემთხვევაში 4.6 პუნქტით გათვალისწინებულ ჯარიმასთან ერთად, **კონტრაქტი** ვალდებული იქნება გადაუხადოს **მაგთიკომს** დემონტაჟისთვის გაწეული ხარჯები.

5. მუხლი. მომსახურე პერსონალის დაშვების პირობები

- 5.1 **მაგთიკომი** უზრუნველყოფს **კონტრაქტის** სპეციალისტების, ტექნიკური პერსონალისა და უფლებამოსილი წარმომადგენლების დაშვებას საკანალიზაციო არხებში გატარებული კაბელების ტერმინალურ სეგმენტებთან (შემდგომში - **თანალოკაციის ფართი**). **თანალოკაციის ფართზე** დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ამ მუხლით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცედურების ზედმიწევნით დაცვით და მხოლოდ **მაგთიკომის** წარმომადგენლის თანხლებით.
- 5.2 **კონტრაქტმა** წინასწარ უნდა მიაწოდოს **მაგთიკომს** იმ პირთა სია (სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითებით), რომელთაც მინიჭებული იქნებათ **თანალოკაციის ფართზე** დაშვების უფლება. სიაში შეტანილი ცვლილებების შესახებ **კონტრაქტი** ვალდებულია წერილობით აცნობოს **მაგთიკომს**. ასეთი სახის ცვლილება ძალაშია **მაგთიკომისათვის** შესაბამისი ცვლილების შესახებ წერილობითი შეტყობინების ჩაბარების მომდევნო სამუშაო დღიდან. ამასთან, **კონტრაქტი** ვალდებულია გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება და წინდახედულობა იმ პირთა შერჩევისას, რომელზეც ითხოვს **თანალოკაციის ფართზე** დაშვების უფლებას მინიჭებას. ასეთი პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება.
- 5.3 **თანალოკაციის ფართზე** ყოველ ჯერზე დაშვების უფლების მიღებისათვის, **კონტრაქტი** უგზავნის შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ducts-infrastructure@magticom.ge **მაგთიკომს**, შემდეგ ინფორმაციას:
 - 5.3.1 5.2 პუნქტით გათვალისწინებული სიიდან იმ პირთა ჩამონათვალს (სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითებით), რომელმაც უნდა მიიღოს ნებართვა დაშვებაზე;
 - 5.3.2 დაშვების მიზანს;
 - 5.3.3 შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობას;
 - 5.3.4 სამუშაოების დაწყების და დასრულების დროს;
 - 5.3.5 5.5. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 5.4 **თანალოკაციის ფართზე** დაშვების თაობაზე **მაგთიკომს** უნდა ეცნობოს 5 სამუშაო დღით ადრე. **მაგთიკომი** გასცემს დაშვების ნებართვას, სადაც სხვა პირობებთან ერთად მითითებული იქნება დაშვების ზუსტი თარიღი და დრო. **მაგთიკომი** ამავე დროს უზრუნველყოფს საკუთარი

წარმომადგენლის დასწრებას. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა არ აკმაყოფილებს 5.3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, *მაგთიკომი* აცნობებს აღნიშნულის თაობაზე *კონტრაქტს* და ჩაითვლება, რომ *კონტრაქტის* მხრიდან დაშვების მოთხოვნა არ განხორციელებულა.

- 5.5 იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ავარიას, რა დროსაც აუცილებელია **თანალოკაციის ფართზე სამუშაოების** დაუყოვნებლივ წარმართვა, კონტრაქტი ვალდებულია 5.3 პუნქტში დამატებით მიუთითოს ავარიის თაობაზე და დაასაბუთოს **სამუშაოების** დაუყოვნებლივ ჩატარების აუცილებლობა.
- 5.6 5.5 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, *მაგთიკომი* გასცემს დაშვების ნებართვას განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო 4 საათის განმავლობაში.
- 5.7 *კონტრაქტი* ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით აწარმოოს ნებისმიერი **სამუშაო**.
- 5.8 აპარატურის განთავსების/მოხსნის აუცილებლობის შემთხვევაში, *კონტრაქტი* ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს *მაგთიკომთან*, რა დროსაც მხარეთა შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ან აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში.
- 5.9 *კონტრაქტის* წარმომადგენლის **თანალოკაციის ფართზე** ყოველი დაშვება აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში, რომელშიც მიეთითება *კონტრაქტის* წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაშვების მიზანი და შესრულებული **სამუშაო**. ჩანაწერის სისწორე დასტურდება *მაგთიკომისა* და *კონტრაქტის* დაშვებაზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით.
- 5.10 **თანალოკაციის ფართზე** შესვლისას *კონტრაქტი* ვალდებულია დაიცვას ყველა ტექნიკური, სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების თუ სხვა ნორმები.
- 5.11 *კონტრაქტი* შეუზღუდავად აგებს პასუხს მისი წარმომადგენლის მიერ **თანალოკაციის ფართზე** არსებული *მაგთიკომის* ან სხვა მესამე პირის საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანებაზე და ნებისმიერი პირდაპირ და არაპირდაპირ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიაღვეს *მაგთიკომს* ან მესამე პირს.
- 5.12 **თანალოკაციის ფართზე** დაშვების უფლება *კონტრაქტს* გადაეცემა მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით **ოფერტით** გათვალისწინებული და მისგან გამომდინარე მომსახურების მიღების უზრუნველსაყოფად.
- 5.13 აკრძალულია *კონტრაქტის* მხრიდან *მაგთიკომის* ნებართვების გარეშე **თანალოკაციის ფართზე** შესვლა და ნებისმიერი ქმედება. ნებისმიერი სახის გადახვევა **ოფერტით** და ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაშვების პირობებიდან, წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების უხეშ დარღვევას.
- 5.14 ნებისმიერი სახის **სამუშაოს** შესრულების თაობაზე მიღებულ უნდა იქნას *მაგთიკომის* ნებართვა და **სამუშაო** შესრულებულ უნდა იქნას ნებართვაში მითითებული პირობების ზედმიწევნით დაცვით.
- 5.15 *მაგთიკომი* უფლებამოსილია აუკრძალოს დაშვება კონკრეტულ პირ(ებ)ს, რომელიც დაარღვევს **ოფერტით** და ნებართვით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

6. მუხლი. დაშვების მომსახურების ტარიფები

- 6.1 დაშვების მომსახურების ტარიფები მოცემულია **ოფერტის** დანართში N2, რომელიც შეესაბამება **კომისიის** 2014 წლის 6 ნოემბრის N620/9 და 2015 წლის 16 ივნისის N351/19 გადაწყვეტილებებს.
- 6.2 ტარიფები შესაძლოა ცალმხრივად შეიცვალოს *მაგთიკომის* მხრიდან ნებისმიერ დროს, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, *კონტრაქტის* შეტყობინების საფუძველზე.
- 6.3 იმ შემთხვევაში, თუ *კონტრაქტი* არ ეთანხმება ცვლილებებს, ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობოს *მაგთიკომს*. ასეთი შეტყობინება მოიაზრება როგორც *კონტრაქტის* ნების გამოვლენად ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და *მაგთიკომი* ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეწყვეტს ხელშეკრულებას და შესაბამისად მომსახურების მიწოდებას. იმ შემთხვევაში, თუ 2 სამუშაო დღის ვადაში *მაგთიკომი* არ მიიღებს წერილობით შეტყობინებას, მიიჩნევა, რომ *კონტრაქტი* ეთანხმება ცვლილებებს.

7. მუხლი. ანგარიშწორების პირობები

- 7.1 *მაგთიკომი* და *კონტრაქტი* გაწეული მომსახურების აღრიცხვას განახორციელებენ ყოველთვიურად, რომლის შესახებაც დგება საოქმო გადაწყვეტილება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვამდე. ხოლო ანგარიშწორება წარმოებს, არაუგვიანეს საოქმო გადაწყვეტილების მიღებიდან მომდევნო თვის 10(ათი) რიცხვამდე.

- 7.2 მიუხედავად 7.1 პუნქტში აღნიშნულისა, იმ შემთხვევაში, თუ *კონტრაქტის* მიმართ *მაგთიკომის* მხრიდან გამოყენებულ იქნება 2.11, 2.12 პუნქტით გათვალისწინებული უფლება ანგარიშსწორება იწარმოებს წინასწარი გადახდის პრინციპით. ასეთ შემთხვევაში, თუ *მაგთიკომის* მხრიდან გაწეული მომსახურების ოდენობა მიაღწევს *კონტრაქტის* მიერ წარმოდგენილი **ხელშეკრულების შესრულების გარანტიის** ოდენობას (აგრეთვე **საბანკო გარანტიის** შემთხვევაში ამოიწურება **საბანკო გარანტიის** მოქმედების ვადა), *მაგთიკომს* ეძლევა უფლება შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე შეწყვიტოს მომსახურება და თუ *კონტრაქტი* 3 დღის ვადაში არ წარმოადგენს **ხელშეკრულების შესრულების გარანტიას** *მაგთიკომს* უფლება აქვს, ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 7.3 *კონტრაქტის* მხრიდან 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში საოქმო გადაწყვეტილების ხელმოწერილი ეგზემპლარის *მაგთიკომისათვის* მიუწოდებლობა ჩაითვლება უარად მომსახურების მიღებაზე და *კონტრაქტის* ნების გამოვლენად ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.
- 7.4 *მაგთიკომი* უზრუნველყოფს გაწეულ მომსახურებაზე დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიწოდებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.
- 7.5 ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, *მაგთიკომი* უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების საფუძველზე დააკისროს *კონტრაქტს* პირგასამტეხლოს გადახდა, გადასახდელი თანხის 0,1%-ს ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს ოდენობა გამოიანგარიშება ანგარიშსწორების ვადის დარღვევის დღიდან, მიუხედავად წერილობითი შეტყობინების გაგზავნის თარიღისა.
- 7.6 **ოფერტით** და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირგასამტეხლოს/ჯარიმის/საურავის გადახდა დამრღვევ მხარეს დაეკისრება მხოლოდ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი მხარის მიმართ.
- 7.7 მხარეები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ანგარიშსწორება აწარმოონ მხარეთა შორის სხვა მომსახურებიდან/ხელშეკრულებიდან მოთხოვნათა ურთიერთგაქვიითვით.

8. მუხლი. ხელშეკრულების ფარგლებში, არხში კაბელის დამატების პირობები და პროცედურები

- 8.1 *მაგთიკომსა* და *კონტრაქტს* შორის **ოფერტის** საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, დამატებით კაბელის განთავსებისათვის *კონტრაქტმა* უნდა მიმართოს *მაგთიკომს* ელექტრონული ფოსტის მისამართზე.
- 8.2 მოთხოვნას უნდა დაერთოს 2.2.7 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია. *მაგთიკომი* 5 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის (ა) მოთხოვნილ წერტილებში კაბელის გატარების მიზანშეწონილობას, (ბ) თავისუფალი რესურსის არსებობას და აცნობებს *კონტრაქტს*. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილ წერტილებში კაბელის გატარება ტექნიკურად შეუძლებელია, *მაგთიკომი* აცნობებს ამის თაობაზე *კონტრაქტს*.
- 8.3 (ა) მოთხოვნის წარდგენის, (ბ) მოთხოვნილ მომსახურების ზონაში თავისუფალი რესურსის არსებობის, (გ) მოთხოვნილ წერტილებში კაბელის გატარების ტექნიკურად შესაძლებლობის (დ) *კონტრაქტის* მხრიდან ვადამოსული დავლიანების არარსებობის, (ე) **ხელშეკრულების შესრულების გარანტიის** წარმოდგენის/გაზრდის (**ოფერტით** გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას და *მაგთიკომის* მოთხოვნის შემთხვევაში) შემთხვევაში, *მაგთიკომი* 15 დღის განმავლობაში გაუგზავნის *კონტრაქტს* შეთანხმებას დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის თაობაზე და *კონტრაქტი* ვალდებულია მომდევნო 5 დღის განმავლობაში მიაწოდოს *მაგთიკომს* მისი მხრიდან ხელმოწერილი შეთანხმება.
- 8.4 დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის თაობაზე შეთანხმების გაფორმების პროცედურა ხორციელდება **ოფერტის** მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად.

9. მუხლი. ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები

- 9.1 *მაგთიკომსა* და *კონტრაქტს* 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის გეგმიური სარემონტო ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარების შესახებ.

- 9.2 9.1 პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი გაფრთხილების ვადა შეიძლება შემცირდეს ან საერთოდ გამოირიცხოს თუ სარემონტო ან აღდგენითი ან სხვაგვარი **სამუშაოების** ჩატარება მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ განეჭვრიტათ და თუ **სამუშაოების** ჩატარება საჭიროა დაუყოვნებლივ, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ქსელის ტექნიკური საშუალებების დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი. ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარეები აცნობებენ ერთმანეთს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოების დადგომიდან 2 დღის განმავლობაში.
- 9.3 მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ერთმანეთს ისეთი დაზიანების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მხარეთა აპარატურაზე, ქსელზე, ტერმინალურ მოწყობილობებზე.
- 9.4 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დადგომა აფერხებს ან შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.
- 9.5 „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაეღებინათ.
- 9.6 დაუძლეველი ძალის გარემოებები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სახის მოვლენებით: სტიქიური უბედურებები, მათ შორის წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, მეწყერი, გაფიცვა, მასობრივი არეულობა, საბოტაჟი, ტერორისტული და დივერსიული აქტები, ოფიციალურად გამოცხადებული ან გამოუცხადებელი საომარი მოქმედებები და შეიარაღებული კონფლიქტები, საგანგებო ან საომარი მდგომარეობები, ბლოკადა, , სამოქალაქო არეულობები, ხელისუფლების ორგანოების ისეთი მოქმედებები, აქტები ან სანქციები, რაც არსებითად აფერხებს ან შეუძლებელს ხდის მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
- 9.7 თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისთვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

10. მუხლი. უსაფრთხოების დაცვა

- 10.1. **კონტრაქტის** იღებს ვალდებულებას, რომ **სამუშაოების** ჩატარების დროს მის მიერ გამოყენებული აპარატურა და დანადგარები, იქნება თავსებადი საკანალიზაციო არხებში კაბელის მონტაჟის სტანდარტულ პროცესთან. არ დააზიანებს **მაგთიკომის** კუთვნილ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებს ან/და არხებში განთავსებულ ქსელის ელემენტებს, არ მოახდენს საზიანო ხელშეშლას ან/და არ გამოიწვევს რაიმე სახის შეფერხებას **მაგთიკომის** ქსელის ფუნქციონირებაში.
- 10.2. საზიანო ხელშეშლის ან სხვა ისეთი გარემოების დადგომისას, რაც საფრთხეს უქმნის ქსელის უსაფრთხოებას, თუ სხვა საშუალებით საფრთხის არიდება შეუძლებელია, მხარეები დაუყოვნებლივ მიიღებენ ყველა ზომას ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად. საჭიროების შემთხვევაში მხარეები შექმნიან ერთობლივ კომისიას. საზიანო ხელშეშლა გულისხმობს ხელშეშლას, რომელიც საზიანო (მავნე) ზეგავლენას ახდენს ხელშეკრულების მონაწილე მხარის ქსელის ელემენტებზე, აპარატურაზე, მოწყობილობებზე, ბოლო მომხმარებლის ტერმინალურ მოწყობილობებზე და ნებისმიერ საგანზე, რომელიც შეაფერხებს ან დაუკარგავს მომსახურების ხარისხს ან რაიმე სახის ზეგავლენას მოახდენს ქსელის უსაფრთხოებაზე ან საფრთხეს შეუქმნის მის გამართულ ფუნქციონირებას.

11 მუხლი. დავების გადაწყვეტა

- 11.1 **მხარეთა** შორის წარმოშობილი უთანხმოება ან დავა, **მხარეთა** მიერ **ოფერტის** ან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან, რომელიმე დებულების გაუქმებასთან ან ძალის დაკარგვასთან, ვალდებულებების არ ან არაჯეროვან შესრულებასთან, ზიანის ანაზღაურებასთან, თანხების ან დავალიანების გადახდასთან, ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტასთან, ბათილობასთან,

ხელშეკრულებიდან გასვლასთან ან **ოფერტიდან** და ხელშეკრულებიდან გამოდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

- 11.2 **მხარეთა** შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ **მხარეს** უფლება აქვს სადაო საკითხის განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად მიმართოს **კომისიას** ან სასამართლოს.

12 მუხლი. დასკვნითი დებულებები

- 12.1 **კონტრაქტის** მხრიდან წინამდებარე **ოფერტაზე** განხორციელებული აქცეპტი წარმოადგენს ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს. **ოფერტა** და ხელშეკრულება წარმოადგენენ ერთიან დოკუმენტს. ხელშეკრულებასა და **ოფერტას** შორის სხვაობის ან წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესი ძალა ენიჭება და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, გარდა მომსახურების საფასურის, დაშვების, მათ შორის **თანალოკაციის ფართზე** დაშვების პირობებისა და კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.
- 12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ წერილობითი შეთანხმების სახით. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს: (ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევები, (ბ) **ოფერტაში** განხორციელებული ცვლილებები, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულის თაობაზე, **კონტრაქტი** ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიიღებს შეტყობინებას **მაგთიკომისაგან** განხორციელებული ცვლილების თაობაზე.
- 12.3 **კონტრაქტისა** და **მაგთიკომს** შორის კომუნიკაცია წარმოებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით. **კონტრაქტისა** და **მაგთიკომი** თანხმდებიან, რომ **კონტრაქტის** მხრიდან 2.2.3 პუნქტის და **მაგთიკომის** მხრიდან 5.3 პუნქტში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართების საშუალებით განხორციელებული კომუნიკაცია, უთანაბრდება წერილობით შეტყობინებას.
- 12.4 თუ **ოფერტაში** ან **ოფერტის** ცვლილებაში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ცვლილების ამოქმედების პირობები და ვადები, ცვლილება შეტანილად ითვლება **ოფერტის** ცვლილების ან ახალი **ოფერტის** გამოქვეყნების (**კომისიის** ვებ-გვერდზე) მომენტიდან.
- 12.5 მხარეთა შორის შეტყობინების გაგზავნა ხორციელდება წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
- 12.6 წინამდებარე **ოფერტა** ძალაში შედის 2016 წლის 1 ოქტომბერს და მოქმედებს 2017 წლის 1 ოქტომბრამდე.

დანართი N1
მომსახურების ზონები

1. ქ. თბილისი, დიდოში, ვაშლიჯვარი;
2. ქ. თბილისი, გლდანის კენტი მიკრორაიონები;
3. ქ. თბილისი, ნუცუბიძის მიკრორაიონები;
4. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას კვარტლები.

დანართი N2
მომსახურების ტარიფები

მომსახურების ტარიფები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში, დღგ-ს გარეშე და გულისხმობს 1 თვის განმავლობაში გადასახდელ მომსახურების საფასურს, 1 არხში 1 კილომეტრი სიგრძის კაბელის განთავსებისათვის (კაბელის დიამეტრის გათვალისწინებით):

კაბელის დიამეტრი	ტარიფი
15 მმ	20,81
25 მმ	57,81
35 მმ	113,31
45 მმ	187, 31
55 მმ	279, 81